საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდღვაბუნის ციხე

დიდღვაბუნის ციხე, ადრინდელი ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების ძეგლი, ციხე მდ. ცხენისწყლის ხეობაში (ხონის მუნიციპალიტეტი).

მდებარეობს მდინარეების ოხვირისა და ცხენისწყლის შესაყარში. მის ჩრდ.-დას-ით პატარა ბორცვზე შემორჩენილია მომცრო ციხის ნაშთი, როგორც ჩანს, იგი დ. ც-ის მისადგომებს იცავდა.

დ. ც. კონტროლს უწევდა ცხენისწყლის ხეობაზე გამავალ გზას, რ-იც ლეჩხუმსა და სვანეთს ბართან აკავშირებდა. ზოგი მკვლევარი (ი. სიხარულიძე) მას უქიმერიონის ციხესთან აიგივებს.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., „უხეიმერიონის" ადგილმდებარეობა (წინასწარი ცნობა), «ძეგლის მეგობარი», 1970, №21.